

შპს „დამოუკიდებელი საერო გიმნაზია შაენაბადა“

მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების
საერთაშორისო სტანდარტების
შესაბამისად მომზადებული ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

შინაარსი

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	4
მოგება-ზარალის დასახვასრული შემოსავლის ანგარიშგება	5
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	6
ფულადინაკადების ანგარიშგება	7

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1	დამოუკიდებელი საერო გიმნაზია შავნაბადის ზოგადი ინფორმაცია	8
2	მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები	9
3	ძირითადი საშუალებები	13
4	ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	13
5	გადახდილი ავანსები	14
6	დებიტორული დავალიანება	14
7	მარაგები	14
8	კაპიტალი	14
9	სასესხო ვალდებულებები	14
10	შემოსავლები	15
11	პერსონალთან დაკავშირებული დანახარჯები	15
12	ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	15
13	ფინანსურ საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი	15
14	საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	15

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენიშვნა	31 დეკემბერი, 2019 წ.	31 დეკემბერი, 2018 წ.
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები	3	2,381,328	2,425,092
ძირითადი საშუალებები		23,989	28,232
სხვა არამატერიალური აქტივები			
სულ გრძელვადიანი აქტივები		2,405,317	2,453,324
მოკლევადიანი აქტივები			
წინასწარ გადახდილი გადასახადები	5	-	14,000
გადახდილი ავანსები	6	204,095	281,379
დებიტორული დავალიანება		45,793	41,323
მარაგები		152,967	35,927
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	4	402,855	372,629
სულ მოკლევადიანი აქტივები		2,808,172	2,825,953
სულ აქტივები			
კაპიტალი	8	(1300)	(1300)
საწესდებო კაპიტალი		(1,931,185)	(1,715,346)
გაუნაწილებელი მოგება		(483,755)	(483,755)
გადაფასების რეზერვი		(2,416,240)	(2,200,401)
სულ კაპიტალი			
ვალდებულებები			
კრედიტორული დავალიანება		(6,522)	(5,938)
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ		(81,538)	(74,637)
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ	9	(274,505)	(542,328)
სასესხო ვალდებულებები		(29,367)	(2,649)
საგადასახადო ვალდებულებები		-	-
სხვა ვალდებულებები		(391,932)	(625,552)
სულ ვალდებულებები		(2,808,172)	(2,825,953)
სულ ვალდებულებები და კაპიტალი			


გამოსაცემად დამტკიცებული და ხელმოწერილია შპს „დამოუკიდებელი საერო გიმნაზია შავნაბადას“ სახელით 2020 წლის 30 სექტემბერს:


ავთანდილ აბდუშელიშვილი
დირექტორი



მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

	შენიშვნა	2019	2018
შემოსავლები	10	2,984,697	2,804,972
პერსონალთან დაკავშირებული	11	(1,981,728)	(1,658,560)
დანახარჯები	12	(277,184)	(240,763)
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები		(209,940)	(208,482)
ცვეთა და ამორტიზაცია			
რეალიზებული პროდუქციის		(122,830)	(97,798)
თვითღირებულება		393,015	599,369
საოპერაციო მოგება/(ზარალი)			
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული	13	782	6212
შემოსავალი		(31,884)	(32,757)
ფინანსურ საქმიანობაზე გაწეული			
დანახარჯები		(31,102)	(25,545)
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადით			
დაბეგვრამდე			
მოგების გადასახადის ხარჯი		(361,913)	(572,824)
პერიოდის მოგება/(ზარალი)			
სხვა სრული შემოსავალი			
პერიოდის სრული მოგება/(ზარალი)		(361,913)	(572,824)



ავთანდილ აბდუშელიშვილი
დირექტორი



შპს „დამოუკიდებელი საერო გიმნაზია შანაბადა“

ფინანსური ანგარიშგება

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	გადაფასების რეზერვი	სულ კაპიტალი
ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,300	1,715,346	483,755	2,200,401
წლის მოგება		361,913		
გაცემული დივიდენდი		(146,074)		
ნაშთი 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	1,300	1,931,185	483,755	2,416,240



ავთანდილ აბდუშელიშვილი
დირექტორი

8-15 გვერდებზე დართული წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია

	შენიშვნა	2019	2018
საოპერაციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		816,914	644,203
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		(192,424)	(728,938)
ფინანსური საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი სახსრები		(508,232)	(14,865)
სავალუტო კურსის ცვლილების გავლენა ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე	13	782	6212
ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების წმინდა ზრდა		117,040	(93,388)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისში	4	35,927	129,315
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს	4	152,967	35,927



ავთანდილ აბდუშელიშვილი
დირექტორი



1 დამოუკიდებელი საერო გიმნაზია შავნაბადის ზოგადი ინფორმაცია

კომპანია დაფუძნდა 1995 წელს და დარეგისტრირდა როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, საიდენტიფიკაციო ნომრით: 206051396. კომპანიის 100 %-იანი წილის მფლობელები 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით არიან : ავთანდილ აბდუშელიშვილი (პ/ნ 01016008553) 50.0%, გოჩა აბდუშელიშვილი (პ/ნ 01016005189) –50.0%,

თავდაპირველად მისი სახელწოდება დამოუკიდებელი საერო გიმნაზია იყო, თუმცა 2000 წელს გიმნაზიას შავნაბადას წმინდა გიორგის მონასტრის საპატივცემულოდ მისი უწმინდესობის, საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ლოცვა-კურთხევით „შავნაბადა“ ეწოდა. საწყის ეტაპზე გიმნაზია მოიცავდა მხოლოდ დაწყებით საფეხურს და სკოლის პირველი კურსდამთავრებულები 2004 წლის ნაკადი გახლდათ. გიმნაზია „შავნაბადას“ დაარსების მიზანი იმთავითვე იყო, ქართველი მოზარდებისთვის მაღალი ხარისხის დაწყებითი და საშუალო განათლების შეთავაზება და დროის გამოწვევის შესაბამისი, ჰუმანიზმისა და დემოკრატიული ფასეულობების მატარებელი, ქვეყნის ინტერესების, ტრადიციებისა და ღირებულებების გამზიარებელი, კანონმორჩილი და ტოლერანტი პიროვნების აღზრდა.

გიმნაზია „შავნაბადას“ დიდი ძალისხმევა დასჭირდა, რომ გამხდარიყო პოპულარული. თავდაუზოგავი შრომის ფასად სკოლამ მოიპოვა განსაკუთრებული წარმატებები და არსებობის პირველსავე წლებში შეძლო სწრაფი ზრდა-განვითარება.

გიმნაზიის მოსწავლეები იმთავითვე განსაკუთრებულ შედეგებს აღწევდნენ სხვადასხვა რაიონულ თუ საქალაქო კონფერენციებში, ადგილობრივ ოლიმპიადებში, უმაღლესში მისაღებ გამოცდებზე, ეროვნულ გამოცდებზე და ა.შ. სკოლის გამოსაშვები გამოცდების 2014 წლის მონაცემით რესპუბლიკის მასშტაბით (2250 სკოლას შორის, როგორც კერძო ასევე საჯარო) გიმნაზია „შავნაბადას“ მოსწავლეთა შედეგები პირველი ხუთეულის ლიდერი იყო. ერთიანი ეროვნული გამოცდების დაარსების დღიდან (2005 წელი) გიმნაზია „შავნაბადას“ ყველა მოსწავლე წარმატებით აბარებს უმაღლეს სასწავლებელში მისაღებ გამოცდებს, მეტიც 2013 წლიდან დღემდე 94-ე კურსდამთავრებული სახელმწიფო გრანტის მფლობელია.

2014, 2015 და 2016 წლებში გიმნაზიის მოსწავლეები მიხეილ აწყვერელი, ვლადიმერ კაპანაძე, ირინა მაჭავარიანი და გიორგი ელიავა საქართველოს სახელით (საქართველოს ეროვნული საოლიმპიადო ნაკრები) მსოფლიოს საერთაშორისო სხვადასხვა ოლიმპიადაში მონაწილეობდნენ. უამრავია ის წარმატება, რომლებიც „შავნაბადელებს“ (ასე ვუწოდებთ ჩვენს მოსწავლეებს, პედაგოგებს და მშობლებს) მოუპოვებიათ ადგილობრივ შეჯიბრებებზე, ინტელექტუალურ თამაშებში, ეროვნულ ოლიმპიადებსა და კონფერენციებში.

2015 წლის აპრილიდან გიმნაზიას ISO 9001 საერთაშორისო სერტიფიკატი მიენიჭა. გიმნაზია „შავნაბადა“ ორიენტირებულია, დაწესებული საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით შეინარჩუნოს სასწავლო პროცესის, მომსახურებისა და ინფრასტრუქტურის ხარისხი, მუდმივად იზრუნოს მის გაუმჯობესებაზე.

2015 წლიდან გიმნაზია „შავნაბადაში“ ფუნქციონირებს სკოლამდელი განათლების ცენტრი, რომლის მიზანია მოამზადოს ბავშვი სკოლისათვის და ხელი შეუწყოს ბავშვის ფიზიკური, გონებრივი, ზნეობრივი და ესთეტიკური უნარების განვითარებას.

დღეს გიმნაზია „შავნაბადა“ ამაყობს იმით, რომ თანამედროვე ბაზითა და კეთილმოწყობით, ინფრასტრუქტურითა და სამეცნიერო ლაბორატორიებით, ორიგინალური ბიბლიოთეკითა და სააქტო დარბაზით ქვეყნისა მასშტაბით მიჩნეულია ერთ-ერთ საუკეთესო საგანმანათლებლო დაწესებულებად.

დაარსებისას 1995 წელის 4 სექტემბერს გიმნაზიაში 32 ბავშვი ირიცხებოდა, დღეს სკოლაში 841 მოსწავლე სწავლობს.

1 დამოუკიდებელი საერო გიმნაზია შავნაბადის ზოგადი ინფორმაცია - საქმიანობა (გაგრძელება)

იურიდიული მისამართი და საქმიანობის ადგილი

კომპანიის იურიდიული მისამართი: წულაძის ქუჩა #32დ, 0102 თბილისი, საქართველო.

წარსადგენი ვალუტა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში (შემდგომში „ლარი“), თუკი სხვაგვარად არ არის მითითებული.

შვილობილი კომპანიები

კომპანიას არ გააჩნია შვილობილი კომპანიები.

2 მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

მომზადების საფუძველი

კომპანიის წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს („ბასს“) მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („მცირე და საშუალო საწარმოების ფასს“) შესაბამისად. ბუღალტრული აღრიცხვის პოლიტიკა, რომელიც გამოყენებულ იქნა წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, აღწერილია ქვემოთ. ეს პოლიტიკა ერთნაირად ვრცელდება ყველა წარმოდგენილ პერიოდზე, თუ საგანგებოდ სხვა რამე არაა მითითებული. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველად გამოყენებულ იქნა პირვანდელი ღირებულების მეთოდი. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ათას ქართულ ლარში („ლარი“), თუ სხვა ვალუტა არ არის მითითებული.

მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (შემდგომში - „მცირე და საშუალო საწარმოების ფასს“) გამოყენება

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება ფინანსური ანგარიშგებაა, რომელიც კომპანიამ მცირე და საშუალო საწარმოების ფასს-ის მიხედვით მოამზადა. კომპანიის ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში, რომელიც კომპანიის სამუშაო ვალუტაა, ვინაიდან ლარი წარმოადგენს იმ პირველადი ეკონომიკური გარემოს ვალუტას, რომელშიც კომპანიას საქმიანობს. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული გარიგებები თავდაპირველად ღირ იცხება გარიგების აღიარების თარიღისათვის და დგენილი ლარის გაცვლითი კურსის შესაბამისად.

უცხოურ ვალუტებში გამოხატული ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაყვანილია საანგარიშგებოთა რილისთვის ლარის არსებული გაცვლითი კურსის შესაბამისად. ფულადი მუხლების საანგარიშგების ანკონვერტაციის ოპერაციების შედეგად წარმოდგარი ყველგვარის ვაობა აისახება არსებული შემოსავლის ანგარიშგებაში. იმ არაფულადი მუხლების გადანგარიშგება, რომლებიც პირვანდელი ღირებულებით აღირიცხება უცხოურ ვალუტაში, ხდება თავდაპირველი გარიგების დღეს არსებული გაცვლითი კურსით.

2 მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

გადახდილი ავანსები

გადახდილი ავანსები აღირიცხება გაუფასურების რეზერვით შემცირებული თვითღირებულებით. გადახდილი ავანსები მაშინ კლასიფიცირდება გრძელვადიანად, როდესაც გადახდილ ავანსებთან დაკავშირებული საქონლის ან მომსახურების მიღება ერთი წლის შემდეგაა მოსალოდნელი ან მაშინ, როდესაც გადახდილი ავანსები უკავშირდება აქტივს, რომელიც, პირველადი აღიარებისას, თვითონ იქნება კლასიფიცირებული გრძელვადიანად. აქტივების შესაძენად გადახდილი ავანსები გადაიტანება აქტივის საბალანსო ღირებულებაში, როგორც კი კომპანია მოიპოვებს აქტივზე კონტროლს და მოელის აქტივიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღებას. სხვა გადახდილი ავანსები ჩამოიწერება მოგებაში ან ზარალში, როდესაც კომპანია მიიღებს გადახდილ ავანსთან დაკავშირებულ საქონელს ან მომსახურებას. თუ არსებობს მინიშნება, რომ კომპანიამ შესაძლოა ვერ მიიღოს გადახდილ ავანსთან დაკავშირებული აქტივი, საქონელი ან მომსახურება, გადახდილი ავანსის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება და შესაბამისი გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება მიმდინარე წლის მოგებაში ან ზარალში.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, რასაც აკლდება დაგროვილი ცვეთა და გაუფასურებით გამოწვეული ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ასეთი თვითღირებულება წარმოადგენს შესყიდვის ფასს, რომელიც მოიცავს შესყიდვის გადასახადს, რომელიც დაბრუნებას არ ექვემდებარება, და აქტივის ექსპლუატაციისთვის ვარგის მდგომარეობამდე მოყვანასთან დაკავშირებულ პირდაპირ ზარალებს. შეკეთებისა და ტექნიკური მომსახურების ხარჯის აღიარება ხდება მათი დადგომისთანავე სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ძირითადი საშუალებების აქტივის შემდგომი ხარჯების აღიარება ხდება ამ აქტივის საბალანსო ღირებულებით, ან ცალკე აქტივის სახით, საჭიროებისამებრ, თუ მოსალოდნელია, რომ კომპანიამ მიიღებს მომავალ ეკონომიკურ სარგებელს ამ აქტივიდან და შესაძლებელი იქნება მისი ღირებულების საიმედოდ შეფასება. ძირითადი საშუალებების ტექნიკური მომსახურების ყოველდღიური ხარჯის აღიარება ხდება მისი დადგომისთანავე სრული შემოსავლის ანგარიშგებაში. ძირითადი საშუალებების ძირითადი ნაწილების ან კომპონენტების შეცვლის ხარჯები კაპიტალიზდება და შეცვლილი ნაწილები ჩამოიწერება.

თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს ხელმძღვანელობა აფასებს, არსებობს თუ არა ძირითადი საშუალებების გაუფასურების რაიმე ნიშანი. ასეთი ნიშნების არსებობის შემთხვევაში, ხელმძღვანელობა განსაზღვრავს აღდგენით ღირებულებას, რომელიც განისაზღვრება, როგორც აქტივის გაყიდვის დანახარჯებით შემცირებულ სამართლიან ღირებულებასა და მისი გამოყენების ღირებულებას შორის უდიდესი. საბალანსო ღირებულება მცირდება აღდგენით ღირებულებამდე და გაუფასურების ზარალი აისახება წლის მოგებაში ან ზარალში. გაუფასურების ზარალი, რომელიც აღიარებულია აქტივისათვის წინა წლებში, საჭიროების შემთხვევაში შებრუნდება, თუ ადგილი ჰქონდა ცვლილებას გაანგარიშებებში, რომლებიც გამოყენებული იქნა აქტივის გამოყენების ღირებულების ან გაყიდვის დანახარჯებით შემცირებული სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის მიზნით.

თავდაპირველად აღიარებული ამა თუ იმ ძირითადი საშუალებისა და მისი ნებისმიერი მნიშვნელოვანი ნაწილის აღიარება წყდება მისი გასხვისების დროს ან მაშინ, როდესაც მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული ნებისმიერი შემოსულობა ან ზარალი (რომელიც გამოითვლება, როგორც გასხვისებიდან მიღებულ წმინდა შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა) აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, როდესაც წყდება აქტივის აღიარება.

2 მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

ცვეთა

ძირითადი საშუალებების აქტივების ცვეთა გამოიანგარიშება დარიცხვის წრფივი მეთოდით, რათა მოხდეს მათი ხარჯის განაწილება ნარჩენ ღირებულებაზე მათი სავარაუდო სასარგებლო გამოყენების ვადის განმავლობაში:

	სასარგებლო გამოყენების ვადა წლებში
შენობა	20 წელი
ინვენტარი	10 წელი
საოფისე აღჭურვილობა, აპარატურა	5 წელი
მსუბუქი ავტომობილები	5 წელი
სხვა	5 წელი

აქტივის ნარჩენი ღირებულება არის სავარაუდო თანხა, რომელსაც კომპანიამ უნდა მიიღებდეს ამ აქტივის გაყიდვით, რასაც აკლდება გაყიდვის სავარაუდო ხარჯები, იმ შემთხვევაში, თუ აქტივები უკვე იმ სიძველისაა და იმ მდგომარეობაშია, როგორც ეს მოსალოდნელია მისი სასარგებლო გამოყენების ვადის ბოლოს. ანგარიშგების ყოველი პერიოდის ბოლოს აქტივების ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო მომსახურების ვადები გადაისინჯება და, საჭიროების შემთხვევაში, დაკორექტირდება.

საოპერაციო იჯარა

თუ კომპანია გამოდის მეიჯარედ ისეთ საიჯარო ურთიერთობაში, რომელშიც არ ხდება საკუთრებასთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკისა და სარგებლის გადაცემა მეიჯარისგან კომპანიაზე, მთლიანი საიჯარო გადასახადი აისახება წლის მოგებაში ან ზარალში იჯარის ვადაზე დარიცხვის წრფივი მეთოდით. იჯარის ვადა ნიშნავს პერიოდს, რომელიც არ შეიძლება შეწყდეს და რომლის განმავლობაშიც მოიჯარეს გაფორმებული აქვს ხელშეკრულება აქტივის იჯარაზე, ნებისმიერი მომდევნო ვადებით, რომლებითაც მოიჯარეს შეუძლია აქტივის იჯარის გაგრძელება შემდგომი ანგარიშსწორებით ან მის გარეშე, თუ იჯარის დასაწყისშივე არის გონივრულობის ფარგლებში მოსალოდნელი, რომ მოიჯარე ამ ოფციონს გამოიყენებს.

კრედიტორული დავალიანება

კრედიტორული დავალიანების დარიცხვა ხდება, როდესაც კონტრაქტის ასრულებს ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს; კრედიტორული დავალიანების პირველადი აღიარება ხდება სამართლიანი ღირებულებით, ხოლო შემდგომ აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

თანამშრომელთა სარგებელი

ხელფასები, შვებულება და ბიულეტენი, პრემიები და არაფულადი სარგებელი ირიცხება იმ წელს, რომელშიც შესაბამისი მომსახურება გაიწია კომპანიის თანამშრომლების მიერ.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთებს მიმდინარე ანგარიშებზე და ბიზნეს ბარათებზე და საბანკო ანაზღაურებს, რომელთა დაფარვის თავდაპირველი ვადა სამი თვე ან უფრო ნაკლებია.

8-15 გვერდებზე დართული წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია

2 მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები (გაგრძელება)

მოგების გადასახადი

საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლის 1 იანვრიდან არ იბეგრება საქართველოში. მოგების გადასახადით დაიბეგრება დივიდენდების სახით განაწილებული მოგება იმ პარტნიორებზე/აქციონერებზე, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში. დივიდენდების განაწილებაზე გადასახდელი გადასახადის ოდენობა დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. დივიდენდების გადახდით წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება, როგორც ვალდებულება და ხარჯად ტარდება იმ პერიოდში, რომელშიც დივიდენდები გამოცხადდა, მიუხედავად იმისა, თუ ფაქტობრივად რომელი თარიღით ან რომელ პერიოდში მოხდა დივიდენდების გადახდა.

გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია დარიცხული საგადასახადო დავალიანებიდან გამოქვითვები, რომლებიც აღირიცხება, როგორც შესაბამის განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშობათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები. კომპანიის მფლობელებისთვის დივიდენდის განაწილებასთან დაკავშირებით დაკავებული გადასახადი საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში აღიარებულია კაპიტალიდან გამოქვითვის სახით.

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული გარიგებების დაბეგვრას, რომლებიც ითვლება პირობითი მოგების განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, ბიზნესსაქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება). ამგვარი გარიგებების დაბეგვრა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად და აღირიცხება, როგორც სხვა გადასახადები შემოსავლის ანგარიშგების სხვა საოპერაციო ხარჯებში.

დამატებული ღირებულების გადასახადი

შემოსავლების, ხარჯებისა და აქტივების აღიარება ხდება დამატებული ღირებულების გადასახადის თანხის გამოკლებით, გარდა იმ შემთხვევებისა:

- ▶ როდესაც აქტივების ან მომსახურების შესყიდვაზე დარიცხული დამატებული ღირებულების გადასახადი არ ექვემდებარება საგადასახადო ორგანოსგან დაბრუნებას, დამატებული ღირებულების გადასახადის აღიარება მოხდება აქტივის შესყიდვაზე გაწეულ დანახარჯებში ან ხარჯის მუხლში, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე;
- ▶ როდესაც დებიტორული და კრედიტორული დავალიანება მოიცავს დამატებით ღირებულების გადასახადს.

საგადასახადო ორგანოებისთვის გადასახდელი ან მათგან დასაბრუნებელი დამატებითი ღირებულების გადასახადის წმინდა ოდენობა ასახულია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშის დებიტორული ან კრედიტორული დავალიანების ნაწილში. 2016 წლის 1 იანვრიდან, საქართველოს საგადასახადო კოდექსში შეტანილი ცვლილებების შედეგად, სხვადასხვა საგადასახადო ანგარიშები ერთმანეთთან გაიქვითება, ერთიანდება ერთ ოდენობად და აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

3 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები 2019 და 2018 წლებში მოიცავს მიწას, შენობა ნაგებობას, მსუბუქ ავტომობილებს საოფისე აღჭურვილობას, აპარატურა, წიგნებს, სკოლის ინვენტარს და არამატერიალურ აქტივებს

	1 იანვარი 2019 წ.	31 დეკემბერი 2019 წ.
	საბალანსო ღირებულება	საბალანსო ღირებულება
შენობა	2,539,647	1,896,595
ოფისის აღჭურვილობა	168,734	83,902
აპარატურა	300,692	154,502
ინვენტარი	365,947	147,442
მსუბუქი ავტომობილები	124,702	81,532
სხვა	25,412	17,354
ჯამი	3,525,138	2,381,328

არამატერიალურ აქტივებს შეადგენს ბუღალტრული პროგრამა და ლიცენზია.

	1 იანვარი 2019 წ.	31 დეკემბერი 2019 წ.
	საბალანსო ღირებულება	საბალანსო ღირებულება
არამატერიალური აქტივები	31,105	23,989
ჯამი	31,105	23,989

4 ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

	31 დეკემბერი, 2019 წ.	31 დეკემბერი, 2018 წ.
ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში	152,967	35,927
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, სულ	152,967	35,927

5 გადახდილი ავანსები

	31 დეკემბერი, 2019 წ.	31 დეკემბერი, 2018 წ.
მოსწავლეების მიერ გადახდილი ავანსები	-	14,000
გადახდილი ავანსები, სულ	-	14,000

6 დებიტორული დავალიანება

მოსწავლეებისგან მისაღები სწავლის გადასახადი
დებიტორული დავალიანება, სულ

31 დეკემბერი, 2019 წ.	31 დეკემბერი, 2018 წ.
204,095	281,379
204,095	281,379

7 მარაგები

კომპანიის მარაგები შედგება საწვავისგან და მცირე ფასიანი ფასეულობებისგან (სასადილოს ინვენტარი)

საწვავი
მცირე ფასიანი ფასეულობები
მარაგები, სულ

31 დეკემბერი, 2019 წ.	31 დეკემბერი, 2018 წ.
6,379	6,379
39,414	34,944
45,793	41,323

8 კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი არის 1300 ლარი. მთლიანი სრული შემოსავალია 2,984,697 ლარი, 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფაცემული დივიდენდი შეადგენს 146,074 ლარს.

9 სასესხო ვალდებულებები

მიღებული სესხები
დარიცხული პროცენტები
სულ კრედიტორული დავალიანება, მოკლევადიანი

31 დეკემბერი, 2019 წ.	31 დეკემბერი, 2018 წ.
274,505	542,328
0	0
274,505	542,328

10 შემოსავლები

სწავლის გადასახადი
სწავლის ვაუჩერი
სხვა შემოსავალი
სულ შემოსავლები

31 დეკემბერი, 2019 წ.
2,564,278
244,019
176,400
2,984,697

11 პერსონალთან დაკავშირებული დანახარჯები

	31 დეკემბერი, 2019 წ.
თანამშრომლების შრომის ანაზღაურების ხარჯები	1,955,861
თანამშრომლების დაზღვევის ხარჯები	25,867
სხვა პერსონალთან დაკავშირებული დანახარჯები	-
სულ პერსონალთან დაკავშირებული დანახარჯები	1,981,728

12 ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

	31 დეკემბერი, 2019 წ.
საკანცელარიო ხარჯები	5,122
რემონტის ხარჯი	38,766
კომპიუტერის ხარჯი	9,043
კომუნალური ხარჯი	43,433
კომუნიკაციის ხარჯები	10,121
საწვავის ხარჯები	7,920
დაცვის ხარჯი	16,800
სხვა ხარჯები	145,979
სულ ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები	277,184

13 ფინანსურ საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი

	31 დეკემბერი, 2019 წ.
კურსთაშორისი სხვაობა	782
სულ ფინანსური საქმიანობიდან მიღებული შემოსავალი	782

14 საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2020 წლის დასაწყისში მსოფლიო დადგა მწვავე ვირუსული დაავადების კორონავირუსის („COVID-19“) გავრცელების საფრთხის წინაშე. 2020 წლის 11 მარტს მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციამ კორონავირუსთან დაკავშირებით პანდემია გამოაცხადა.

მსოფლიოსა და საქართველოში შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე საქართველოს მთავრობამ შეიმუშავა რიგი ღონისძიებები, მათ შორის გამოაცხადა საგანგებო მდგომარეობა და კომენდანტის საათი. 2020 წლის 21 მარტიდან შეწყდა რეგულარული ფრენები. 2020 წლის სექტემბრიდან კორონავირუსის მეორე ტალღას ებრძვის სრულიად მსოფლიო. 2020 წლის მარტის თვიდან სკოლა მოერგო არსებულ რეგულაციებს და გადავიდა დისტანური სწავლების მეთოდზე.

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ კომპანიაში მნიშვნელოვანი მოვლენა, რომელიც გამჟღავნებას საჭიროებს არ მომხდარა.